



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 104/ს
23/05/2022

104-21-4-202205230919



**ქ. თბილისში, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 3320 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების
საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა) სკრინინგის
გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. თბილისში, წყალსადენის ქუჩა №13-ში, 3320 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის გაზრდა) სკრინინგის განცხადება.

2013 წლის 4 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ „შპს სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 3320 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე გაიცა №1 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №000068). ამასთან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 2021 წლის 29 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-139).

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე, ნაცვლად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული 2 ერთეული წყლის ჰორიზონტალური რეზერვუარისა (თითოეული 50 მ³), მოწყობილია სამი ცალი რეზერვუარი (2 ერთეული - 25 მ³ და ერთი ერთეული - 50 მ³). აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაგზავნილ იქნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავი (ნავთობბაზა) მდებარეობს ქ. თბილისში, წყალსადენის ქუჩა №13-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 3938 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.11.04.029.067 და 01.11.04.029.068). ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 280 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. მტკვარი მიედინება დაახლოებით 320 მეტრში. ნავთობბაზიდან დაახლოებით 120 მეტრში განთავსებულია შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 12400 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავი. ამასთანავე, ობიექტის ტერიტორიიდან დაახლოებით 90 მეტრში მდებარეობს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, 175 მეტრში - შპს „რომპეტროლის“, 300 მეტრში - შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“, 400 მეტრში - სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ და 465 მეტრში - შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ავტოგასამართი სადგურები. ნავთობპროდუქტების საცავის

ტერიტორიას, დაახლოებით 200 მეტრში, ესაზღვრება რკინიგზის ჩიხი, საიდანაც ხდება მისი საწვავით მომარაგება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნავთობბაზის ტერიტორიაზე მოწყობილია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: სარეზერვუარო პარკი; ნავთობპროდუქტების სატუმბო სადგური; საწვავის გამცემი ავტოესტაკადა; ადმინისტრაციული-საოფისე შენობა; რკინიგზის ჩიხთან დაკავშირებული მიწისქვეშა მილსადენი; დიზელის გენერატორი; ავტოგასამართი სადგური; ავტოსამრეცხაო; სველი წერტილი; გამწმენდი ნაგებობა; მეხამრიდები; წყლის რეზერვუარები და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა. ობიექტზე საწვავის მიღების, შენახვისა და გაცემისთვის ასევე განთავსებულია რვა ცალი მიწისზედა, ცილინდრული ფორმის რეზერვუარი (ჯამური მოცულობა - 3320 მ³), რომელთაგან 4 ერთეული (236.667 მ³; 235.449 მ³; 237.666 მ³ და 979.585 მ³) განკუთვნილია ბენზინის საწვავისათვის, ხოლო 4 ერთეული (237.596 მ³; 234.207 მ³; 923.2 მ³ და 235.527 მ³) - დიზელის საწვავისათვის. სარეზერვუარო პარკის ტერიტორია მობეტონებულია და შემოსაზღვრულია ერთი მეტრი სიმაღლის ბეტონის კედლით. რეზერვუარები განთავსებულია რკინა-ბეტონის საძირკველზე, აღჭურვილია სასუნთქი სარქველებით და დაფარულია კოროზიის საწინააღმდეგო საღებავით.

როგორც უკვე აღინიშნა, სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებულია ნავთობპროდუქტების საცავთან ფუნქციურად დაკავშირებული ავტოგასამართი სადგური, რომლის ტერიტორიაზე მოწყობილია 6 ცალი ლითონის ჰორიზონტალური რეზერვუარი, რომელთაგან სამი ერთეული (25,903 მ³; 4,021 მ³ და 4.115 მ³) განკუთვნილია ბენზინის საწვავისთვის, ხოლო სამი ერთეული (25,928 მ³; 25,804მ³ და 24,327 მ³) - დიზელის საწვავისთვის. რეზერვუარები განთავსებულია მიწის ქვეშ და აღჭურვილია სასუნთქი სარქველებით. ავტოგასამართ სადგურზე ასევე მოწყობილია 2 ერთეული ორმხრივი საწვავმარიგებელი სვეტი, გაცემის 3 წერტილით და წლიურად ხდება 7300 მ³ ბენზინისა და 7300 მ³ დიზელის მიღება-გაცემა. ავტოგასამართი სადგურის საწვავით მომარაგება ხორციელდება მომიჯნავედ არსებული ნავთობბაზიდან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავი ფუნქციონირებს კვირაში 5 დღე, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით, ხოლო ავტოგასამართი სადგური - წელიწადში 365 დღე, 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით. ობიექტზე ჯამურად დასაქმებულია 10 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის უცვლელად, გათვალისწინებულია ობიექტის წლიური წარმადობის (42000 ტონიდან 60000 ტონამდე) გაზრდა და სარეალიზაციოდ განსაზღვრული ნავთობპროდუქტების (დიზელი და ბენზინი) სრულად ბენზინით ჩანაცვლება. ამასთან, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ასევე გულისხმობს ნავთობბაზის მომიჯნავედ არსებული ავტოგასამართი სადგურის წლიური წარმადობის 14600 მ³-დან (7300 მ³ ბენზინი და 7300 მ³ დიზელი) 23000 მ³ - მდე (11500 მ³ ბენზინი და 11500 მ³ დიზელი) გაზრდას. ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ, ნავთობბაზაზე გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ბენზინის საწვავის მიღება, შენახვა და რეალიზაცია, ავტოგასამართი სადგურის დიზელის საწვავით მომარაგება მოხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული წყალსადენის ქ. №11-ში მდებარე ნავთობპროდუქტების საცავიდან, ავტოცისტერნების საშუალებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პროცესში წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო და სახანძრო მიზნებისთვის, რისთვისაც წყალაღება ხორციელდება ქ. თბილისის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდება დედაქალაქის საკანალიზაციო სისტემაში. ნავთობბაზაზე წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლები, შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტები,

ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის და ტერიტორიის მორეცხვის შედეგად წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები, სანიაღვრე არხების საშუალებით, იკრიბება გამწმენდ ნაგებობაში (წარმადობა - 20 მ³/სთ), რომელიც შედგება თხელფენოვანი სალექარების, სამსაფეხურიანი ფილტრებისა და ნავთობპროდუქტების შემკრები კამერისაგან. გამწმენდი ნაგებობიდან გაწმენდილი წყლის ჩაშვება ხდება ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ ითვალისწინებს საწარმოს ტერიტორიაზე ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობას, გაფრქვევის ახალი წყაროების წარმოქმნას ადგილი არ ექნება და შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად, გაზრდილი წარმადობის გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი მაჩვენებლები. ვინაიდან, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ითვალისწინებს ნავთობბაზის წარმადობის არსებითად გაზრდას (42000 ტონიდან 60000 ტონამდე), ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელება დაკავშირებულია საწვავის მიღებისა და გაცემის პროცესთან. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ობიექტის სამუშაო საათებისა და მდებარეობის გათვალისწინებით, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი, თუმცა, არ არის შეფასებული გაზრდილი სატრანსპორტო ოპერაციების პირობებში, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის (280 მ) გათვალისწინებით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნავთობბაზის ტერიტორიაზე წარმოქმნება როგორც სახიფათო, ისე მუნიციპალური ნარჩენები, რომელთა შეგროვება ხდება სეპარირებულად, შესაბამის მარკირებულ კონტეინერებში. ობიექტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების გატანა ხორციელდება ქ. თბილისის კომუნალური სამსახურის მიერ, ხოლო სახიფათო ნარჩენები (მათ შორის გამწმენდ ნაგებობაში დაგროვებული ნავთობპროდუქტები) შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

როგორც უკვე აღინიშნა, წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნავთობბაზიდან დაახლოებით 120 მეტრში მდებარეობს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 12400 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავი. ასევე, ობიექტის ტერიტორიიდან დაახლოებით 90 მეტრში განთავსებულია შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, 175 მეტრში - შპს „რომპეტროლის“, 300 მეტრში - შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“, 400 მეტრში - სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ და 465 მეტრში - შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ ავტოგასამართი სადგურები. სკრინინგის განცხადებაში განხილული არ არის, ნავთობბაზის გაზრდილი წარმადობის გათვალისწინებით, გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების საკითხი, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავი განთავსებულია სამეწარმოდ ათვისებულ, ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც არ ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი. საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ტყით მჭიდროდ დაფარული და დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. ობიექტის მიმდებარედ არ არის წარმოდგენილი ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა გლდანის რაიონის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.


სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის, სპეციფიკის, წარმადობის და შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, მოსალოდნელია გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. თბილისში, წყალსადენის ქუჩა №13-ში შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ 3320 მ³ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (წარმადობის გაზრდა) **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ ვალდებულია, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გლდანის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო